ახალი უმაღლესი სასწავლებელი
ნიუუნი



NEW HIGHER EDUCATION INSTITUTE
NEWUNI

აკადემიური საბჭოს დებულება

დამტკიცებულია: რექტორის ბრძანებით N 138-ს
თარიღი: 29.12.2017 წელი
ბოლო ცვლილების თარიღი: 12.08.2026 წელი

შინაარსი:

მუხლი 1. ზოგადი დებულებები.....2

მუხლი 2. აკადემიური საბჭოს მიზნები.....2

მუხლი 3. აკადემიური საბჭოს საქმიანობის პრინციპები.....2

მუხლი 4. აკადემიური საბჭოს საქმიანობის ორგანიზაციული უზრუნველყოფა და მუშაობის წესი.....3

მუხლი 5. აკადემიური საბჭოს არჩევის წესი.....3

მუხლი 6. აკადემიური საბჭოს უფლებამოსილება.....3

7. აკადემიური საბჭოს შემადგენლობა.....4

მუხლი 8. აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე.....4

მუხლი 9. აკადემიური საბჭოს მდივანი.....4

მუხლი 10. აკადემიური საბჭოს წევრის უფლებამოსილების შეწყვეტა.....4

11. აკადემიური საბჭოს სხდომების ჩატარების პერიოდულობა.....5

მუხლი 12. აკადემიური საბჭოს სხდომის დღის წესრიგი.....5

მუხლი 13. სხდომის ჩატარებისა და გადაწყვეტილების მიღების წესი.....5

მუხლი 14. ხმის მიცემის წესი.....5

მუხლი 15. აკადემიური საბჭოს სხდომის ოქმი.....5

მუხლი 16. დასკვნითი დებულებები.....6

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1.1 ახალი უმაღლესი სასწავლებელი-ნიუუნის (შემდგომში: "სასწავლებელი") აკადემიური საბჭო (შემდგომში: "აკადემიური საბჭო") არის სასწავლებლის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანო, რომელიც განსაზღვრავს სასწავლებლის საქმიანობის, განვითარებისა და საგანმანათლებლო პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს, ხელს უწყობს განათლების ევროპულ სივრცეში ინტეგრაციას, ხელმძღვანელობს საგანმანათლებლო–კვლევით პროცესს.

1.2 აკადემიური საბჭო საქმიანობას ახორციელებს აკადემიური თავისუფლებისა და ავტონომიურობის პრინციპებზე დაყრდნობით.

1.3 აკადემიური საბჭო მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის, სასწავლებლის წესდებისა და წინამდებარე დებულების საფუძველზე.

მუხლი 2. აკადემიური საბჭოს მიზნები

2.1 აკადემიური საბჭოს მიზნებია:

ა) სასწავლებელში საგანმანათლებლო საქმიანობის ხელშეწყობა, მაღალკვალიფიციური კადრების მომზადებაზე ზრუნვა;

ბ) სტუდენტებისა და პერსონალისათვის სათანადო პირობების შექმნა სწავლის, სწავლების და სამეცნიერო კვლევებისთვის, თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი, მომავალზე ორიენტირებული განათლების მიღების შესაძლებლობის უზრუნველყოფა;

გ) პიროვნების ინტერესებისა და შესაძლებლობების შესატყვისი უმაღლესი განათლების მიღების ხელშეწყობა;

დ) ქართული და ზოგადსაკაცობრიოდ აღიარებული ღირებულებების დამკვიდრების ხელშეწყობა საზოგადოების დემოკრატიის, სამართლიანობის და ჰუმანიზმის იდეებზე დაყრდნობით;

ე) აკადემიური უმაღლესი განათლების ბაკალავრიატის საფეხურზე პიროვნების ინტელექტუალური პოტენციალის რეალიზება, შემოქმედებითი უნარ-ჩვევების განვითარება და თანამედროვე მოთხოვნების შესატყვისი კომპეტენციის მქონე და კონკურენტუნარიანი კადრების მომზადება შიდა და საგარეო შრომის ბაზრისათვის;

ვ) შიდა შეფასების პროცედურების მუდმივი სრულყოფით განათლების ხარისხის გაუმჯობესებაზე ზრუნვა;

ზ) სასწავლებლის ევროპულ სივრცეში ინტეგრაცია და სტუდენტთა და აკადემიური პერსონალის მობილობის წახალისების ხელშეწყობა.

მუხლი 3. აკადემიური საბჭოს საქმიანობის პრინციპები

3.1 აკადემიური საბჭო სასწავლებლის მართვას ახორციელებს შემდეგი პრინციპების დაცვით:

ა) მიღებული გადაწყვეტილებების საჯაროობა და ყველა დაინტერესებული პირისათვის ხელმისაწვდომობა;

ბ) ჩატარებული არჩევნებისა და კონკურსების სამართლიანობა, გამჭვირვალობა და საჯაროობა;

გ) აკადემიური პერსონალისა და სტუდენტთა აკადემიური თავისუფლება;

დ) თანასწორი მოპყრობა განურჩევლად პირის ეთნიკური კუთვნილებისა, სქესისა, სოციალური წარმოშობისა, ქონებრივი მდგომარეობისა, პოლიტიკური თუ რელიგიური შეხედულებებისა და სხვა განმასხვავებელი ნიშნების მიუხედავად.

მუხლი 4. აკადემიური საბჭოს საქმიანობის ორგანიზაციული უზრუნველყოფა და მუშაობის წესი

4. 1. აკადემიურ საბჭოს თავმჯდომარეობს სასწავლებლის რექტორი;

4. 2. აკადემიური საბჭოს საქმიანობის ორგანიზაციულ უზრუნველყოფას ახორციელებს აკადემიური საბჭოს მდივანი;

4.3. აკადემიური საბჭო იკრიბება 3 თვეში ერთხელ ან საჭიროებისამებრ. აკადემიური საბჭოს სხდომა მოიწვევა რექტორის ინიციატივით ან აკადემიური საბჭოს წევრთა სრული შემადგენლობის უმრავლესობის მოთხოვნით;

4.4. აკადემიური საბჭოს სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება საბჭოს წევრთა სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი. გადაწყვეტილება მიიღება სხდომაზე დამსწრე წევრთა უმრავლესობით, ფარული კენჭისყრით;

4.5. აკადემიური საბჭოს თითოეული სხდომის შესახებ ფორმდება ოქმი, რომელსაც ხელს აწერენ აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე და მდივანი.

მუხლი 5. აკადემიური საბჭოს არჩევის წესი

5.1. აკადემიური საბჭოს არჩევნები ტარდება სამართლიანობის, გამჭვირვალობისა და საჯაროობის პრინციპების დაცვით.

5.2. აკადემიური საბჭოს წევრები აირჩევიან ფაკულტეტის საბჭოს მიერ პირდაპირი, თავისუფალი და თანასწორი არჩევნების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით. არჩევნები ჩატარებულად ჩაითვლება, თუ მას ესწრება ფაკულტეტის საბჭოს წევრთა სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

5.3. აკადემიურ საბჭოში აირჩევა მაქსიმუმ 7 წევრი; საბჭოს მინიმალურ რაოდენობას განსაზღვრავს სასწავლებელის რექტორი ინდივიდუალურ–სამართლებრივი აქტით;

5.4. აკადემიური საბჭოს წევრად აირჩევა სასწავლებლის პროფესორი ან ასოცირებული პროფესორი.

5.5. აკადემიური საბჭოს შემადგენლობაში სამეცნიერო-კვლევით ერთეულს უნდა ჰყავდეს ერთი წარმომადგენელი მაინც.

5.6. აკადემიური საბჭოს წევრად არ შეიძლება არჩეულ იქნეს პირი, რომელიც იმავდროულად იკავებს სასწავლებელში ადმინისტრაციულ თანამდებობას. გარდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელისა, რომელიც საბჭოს შემადგენლობაში შედის თანამდებობრივად, სათათბირო ხმის უფლების გარეშე.

5.7. აკადემიური საბჭოს წევრის არჩევის ვადა განისაზღვრება 4 წლით.

მუხლი 6. აკადემიური საბჭოს უფლებამოსილება

6.1.სასწავლებლის აკადემიური საბჭო:

ა) შეიმუშავებს და ამტკიცებს სასწავლებლის განვითარების სტრატეგიულ (შვიდწლიანი) და სამოქმედო (სამწლიანი) გეგმებს;

ბ) ხელს უწყობს სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან თანამშრომლობას, სტუდენტთა და აკადემიური პერსონალის მობილობის გაფართოებას;

გ) ადგენს სწავლის პერიოდში მიღებული განათლების (ECTS კრედიტების) აღიარების და სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ სხვა წესებს;

დ) ფაკულტეტის წარდგინებით და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან შეთანხმებით განიხილავს და ამტკიცებს უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებს;

ე) შეიმუშავებს და დასამტკიცებლად წარუდგენს რექტორს სასწავლებლის ყველა სტრუქტურული ერთეულის დებულებას;

ვ) შეიმუშავებს სასწავლებლის შინაგანაწესს, ეთიკის კოდექსს, სტუდენტის ეთიკის კოდექსს, უსაფრთხოების და სხვა წესს და დასამტკიცებლად წარუდგენს სასწავლებლის რექტორს;

ზ) ადგენს აკადემიური თანამდებობის დაკავების წესს;

თ) ახორციელებს მოქმედი კანონმდებლობით და სასწავლებლის წესდებით მასზე მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებებს.

მუხლი 7. აკადემიური საბჭოს შემადგენლობა

7.1.აკადემიური საბჭოს შემადგენლობაში შედის: აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე – რექტორი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი და აკადემიური საბჭოს წევრები;

7.2. აკადემიური საბჭოს წევრთა საერთო რაოდენობა განისაზღვრება მაქსიმუმ 7 წევრით;

7.3. აკადემიური საბჭოს წევრად აირჩევა მხოლოდ სასწავლებლის სრული ან ასოცირებული პროფესორი.

მუხლი 8. აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე

8.1 აკადემიური საბჭოს თავმჯდომარეობს სასწავლებლის რექტორი და უძღვება აკადემიური საბჭოს მიმდინარე საქმიანობას;

8.2 აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე:

ა) ანგარიშვალდებულია აკადემიური საბჭოს და სასწავლებლის დამფუძნებელთა წინაშე;

ბ) წარმოადგენს აკადემიურ საბჭოს ქვეყნის შიგნით და გარეთ ურთიერთობებში, რისთვისაც უფლებამოსილია, სასწავლებლის სახელით დადოს გარიგებები და შეთანხმებები.

გ) თავმჯდომარეობს აკადემიური საბჭოს სხდომებს;

დ) ახორციელებს კანონით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებებს.

მუხლი 9. აკადემიური საბჭოს მდივანი

9.1 აკადემიური საბჭოს მიერ გაწეული საქმიანობის ორგანიზაციულ უზრუნველყოფას და საქმისწარმოებას ახორციელებს აკადემიური საბჭოს მდივანი, რომელიც აირჩევა აკადემიური საბჭოს თავმჯდომარის წარდგინებით, აკადემიური საბჭოს მიერ სიითი შემადგენლობის უმრავლესობის მხარდაჭერით, ფარული კენჭისყრით.

9.2 აკადემიური საბჭოს მდივანი:

ა) ამზადებს აკადემიური საბჭოს სხდომაზე განსახილველი საკითხების პროექტებს;

ბ) ორგანიზაციულად ამზადებს აკადემიური საბჭოს სხდომებს;

გ) უზრუნველყოფს ინფორმაციის საჯაროობას;

დ) აწარმოებს აკადემიური საბჭოს ოქმებს და გადასცემს შესანახად კანცელარიას;

ე)ახორციელებს კანონით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებებს.

მუხლი 10. აკადემიური საბჭოს წევრის უფლებამოსილების შეწყვეტა

10.1 აკადემიური საბჭოს წევრს უფლებამოსილება შეუწყდება:

ა) სასწავლებლის აკადემიური თანამდებობიდან გათავისუფლების შედეგად;

ბ) სასამართლოს მიერ ქმედუუნაროდ, უგზო-უკვლოდ ან გარდაცვლილად ცნობის შემთხვევაში;

გ) სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ადმინისტრაციული თანამდებობის დაკავებისას;

დ) პირადი განცხადების საფუძველზე.

10.2 აკადემიური საბჭოს წევრის უფლებამოსილების შეყვეტიდან, არაუგვიანეს ერთი თვისა, შესაბამის ფაკულტეტ(ებ)ზე ტარდება აკადემიური საბჭოს ახალი წევრის არჩევნები.

მუხლი 11. აკადემიური საბჭოს სხდომების ჩატარების პერიოდულობა

11.1. აკადემიური საბჭოს სხდომები ტარდება სამ თვეში ერთხელ ან საჭიროების შემთხვევაში;

11.2. სასწავლებლის რექტორი - აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე უფლებამოსილია მოიწვიოს აკადემიური საბჭოს სხდომა საკუთარი ინიციატივით ან აკადემიური საბჭოს სრული შემადგენლობის უმრავლესობის მოთხოვნით.

მუხლი 12. აკადემიური საბჭოს სხდომის დღის წესრიგი

12.1 აკადემიური საბჭოს სხდომაზე განსახილველი საკითხების ნუსხას ადგენს აკადემიური საბჭოს მდივანი აკადემიური საბჭოს თავმჯდომარესთან შეთანხმებით და ატყობინებს აკადემიური საბჭოს წევრებს;

12.2 აკადემიური საბჭოს წევრები უფლებამოსილნი არიან დღის წესრიგის პროექტში დამატებით შეიტანონ განსახილველი საკითხები;

12.3 აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე სხდომის დაწყებისთანავე წარადგენს დღის წესრიგის პროექტს, რომელსაც საბჭოს წევრები ამტკიცებენ სხდომაზე დამსწრეთა უმრავლესობით.

მუხლი 13. სხდომის ჩატარებისა და გადაწყვეტილების მიღების წესი

13.1 აკადემიური საბჭოს სხდომებს ესწრებიან აკადემიური საბჭოს წევრები და საჭიროების შემთხვევაში, მოწვეული სტუმრები;

13.2 აკადემიური საბჭოს მიერ მოწვეულ პირებს უფლება აქვთ დაესწრონ სხდომებს სათათბირო ხმის უფლებით;

13.3 აკადემიური საბჭოს სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება აკადემიური საბჭოს წევრთა სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი;

13.4 გადაწყვეტილება მიღებულად ჩაითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს სხდომაზე დამსწრე წევრთა უმრავლესობა, წინამდებარე დებულების 4.4 პუნქტით განსაზღვრული წესით.

13.5 აკადემიური საბჭოს სხდომაზე განხილული საკითხის თაობაზე აკადემიური საბჭო უფლებამოსილია მიიღოს განცხადება, გააკეთოს მიმართვა, შეადგინოს წარდგინება და შეიმუშაოს შესაბამისი რეკომენდაციები.

13.6 სხდომის ოქმის საფუძველზე აკადემიური საბჭო გამოსცემს დადგენილებას, რომელსაც ხელს აწერს აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე.

13.7 საბჭოს ხმათა უმრავლესობით მხარდაჭერილი საკითხი, რომლის დამტკიცების უფლებამოსილება საბჭოს არ გააჩნია, წარედგინება სასწავლებლის რექტორს, შესაბამისი სამართლებრივი აქტის (ბრძანების) გამოცემის მიზნით.

მუხლი 14. ხმის მიცემის წესი

14.1 თავისუფალი და დემოკრატიული არჩევანის უზრუნველსაყოფად, აკადემიური საბჭოს სხდომაზე კენჭისყრა არის ფარული;

14.2 კენჭისყრის პროცედურის ჩატარებისას იკრძალება აკადემიური საბჭოს წევრის მიერ სხდომათა დარბაზის დატოვება.

მუხლი 15. აკადემიური საბჭოს სხდომის ოქმი

15.1 აკადემიური საბჭოს წევრთა შეკრებისა და სხდომის ჩატარების, აგრეთვე, გადაწყვეტილების მიღების ფაქტზე დგება სხდომის ოქმი, რომელსაც ხელს აწერს

სასწავლებლის რექტორი - აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე და აკადემიური საბჭოს მდივანი.

15.2 აკადემიური საბჭოს სხდომების ოქმები ინახება რექტორის - აკადემიური საბჭოს თავმჯდომარის მიერ, არანაკლებ 5 წლის განმავლობაში, რის შემდეგ გადაეცემა სასწავლებლის არქივს.

15.3. ოქმში უნდა აისახოს:

ა) სხდომის თარიღი, დაწყებისა და დასრულების დრო;

ბ) სხდომაზე დამსწრე წევრებისა და მოწვეულ პირთა სია;

გ) დღის წესრიგი;

დ) სიტყვაში გამომსვლელთა მოსაზრებების არსი და მიღებული გადაწყვეტილებები;

15.4 სხდომაზე განხილულ საკითხებზე წერილობითი განმარტებები და გადაწყვეტილებათა პროექტები გადაეცემა აკადემიური საბჭოს მდივანს და დაერთვება ოქმს დანართების სახით.

მუხლი 16. დასკვნითი დებულებები

16.1. სასწავლებლის აკადემიური საბჭოს წინამდებარე დებულება განსაზღვრავს აკადემიური საბჭოს ფორმირების წესს, აკადემიური საბჭოს უფლებამოსილებებს, გადაწყვეტილებების მიღების პროცედურას და სავალდებულოა ყველა წევრისათვის;

16.2 აკადემიური საბჭოს წევრთა უფლება-მოვალეობები, აგრეთვე სასწავლებლის მართვასთან დაკავშირებული ურთიერთობები, რომლებიც არ არის ასახული წინამდებარე დებულებაში, მოწესრიგდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;

16.3 აკადემიური საბჭოს დებულება ძალაში შედის რექტორის ბრძანებით დამტკიცებისთანავე;

16.4 აკადემიური საბჭოს წინამდებარე დებულების ამოქმედების დღიდან ცვლილება/დამატება მასში ძალაში შევა ცვლილება-დამატებების პროექტის აკადემიური საბჭოს მიერ განხილვისა და რექტორის ბრძანებით დამტკიცებისთანავე.